

# „მწვანე პარასკევი“

## სიბრიუვისა და ბოროტი ზრახვების

### კომბინაციაში იშვა

გაზეთი “ბანკები და ფინანსები” – 18-24 ნოემბერი, № 21, 2008

მსოფლიო საფინანსო კრიზისის ქართულ გამოძახილს თავისი სპეციფიკა და წინაპირობები გააჩნია. ხელისუფლება ეკონომიკის ექსპერტების მოსაზრებებს ყურად არ იღებს. მთავრობის ეკონომიკური გუნდის წევრები კომენტარს ძირითადად არ აკეთებენ. მათი ფრაგმენტული და იშვიათი განცხადებები კი კიდევ უფრო მეტ კითხვას ბადებს. ისინი ოპონენტებთან დებატებს თავს არიდებენ, მათ შესახებ კი შეურაცხმყოფელი ეპითეტებით საუბრობენ. მაინც რა მოხდა ლარის მკვეთრი და უცაბედი გაუფასურებით დოლარის მიმართ, რა არგუმენტები აქვთ მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ნომინალურ და რეალურ ავტორებს. ამის თაობაზე ბ&ფ ეკონომიკის ექსპერტს, ეკონომიკის ყოფილ მინისტრს და პროფესორ, ლადო პაპავას ესაუბრა.

– ბატონო ლადო, თქვენ და თქვენმა ქართველმა კოლეგა ექსპერტებმა 2008 წლის 7 ნოემბერს სავალუტო ბირჟაზე დაფიქსირებულ ლარის დოლართან მიმართებაში გაუფასურებას შემაშფოთებელი უწოდეთ და სამომხმარებლო პროდუქტების გაძვირება და ინფლაციის ზრდა ივარაუდეთ. ამ მოსაზრებას ბატონმა კახა ბენდუქიძემ არაკომპეტენტური უწოდა და განაცხადა, რომ ფასები არ გაიზრდებოდა. რა კომენტარს გააკეთებოთ ბატონი ბენდუქიძის განცხადებაზე?

– ბატონი კახა სტუდენტი რომ იყოს, ის “გემრიელ” ორიანს მიიღებდა, მარტივი მიზეზის გამო – პირველი კურსის სტუდენტმაც უნდა იცოდეს, რომ არსებობს ინფლაციის სხვადასხვა სახეობა, მათ შორის ერთ-ერთია ხარჯების ზრდით გამოწვეული ინფლაცია. გაცვლითი კურსის ცვლილება, კერძოდ, ეროვნული ვალუტის გაუფასურება, რომ იმპორტზე ფასებს ზრდის, ამას ეკონომისტობა არც კი უნდა, რადგან ვალუტის კურსის ცვლილების გამო იმპორტზე გაწეული ხარჯები იზრდება. ეს კი ინფლაციის ერთ-ერთი სახეობაა.

ჩემთვის გასაკვირი არაა, რომ ბიოლოგიის ფაკულტეტზე ეკონომიკას არ ასწავლიან, აქედან გამომდინარე, ეკონომიკის მარტივი თეორიები ბატონ კახას ნასწავლი არ აქვს. მე მას პედაგოგიური თვალსაზრისით ვურჩევდი, რომ წაიკითხოს ეკონომიკის ელემენტარული სახელმძღვანელოები და თვითგანათლება სახელმძღვანელოებით და არა საქართველოზე ჩატარებული ექსპერიმენტებით მიიღოს.

რაც შეეხება ფასებს, მე უფრო კმაყოფილი დავრჩებოდი, რომ ფაქტები ბატონი კახას სასარგებლოდ მეტყველებდეს, იმიტომ, რომ მეც ერთ-ერთი რიგითი მოქალაქე ვარ და ჩემთვის, ისევე როგორც ჩვეულებრივი ადამიანებისთვის, სამომხმარებლო ფასების ზრდა საკმაოდ შესამჩნევია. თუმცა ერთ რამესაც უნდა გავუსვათ ხაზი, როცა ადამიანი ძალიან მდიდარია, მისთვის სამომხმარებლო ფასების ზრდა, ხშირად შეუმჩნეველია. მე მესმის, რომ ბატონი კახა საკუთარ სამომხმარებლო კალათაში საკვები პროდუქტების გაძვირებას დიდად ვერ შეამჩნევდა.

– ვისაუბროთ ლარის კურსის გარდნაზე, აგუსტინათ მკითხველს, რა შედეგებს მოიტანს ეს პროცესი?

– ლარის ნახტომისებურმა ვარდნამ ბაზარზე პანიკა გამოიწვია, რომელიც ხელისუფლებამ ხელოვნურად შექმნა. დრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს გადაწყვეტილება მხოლოდ ეროვნული ბანკის მიერ არაა მიღებული, ის უფრო მაღალ დონეზე დამუშავდა. ამის თქმის საფუძველს ისიც იძლევა, რომ ეროვნულ ბანკს უკვე 14 თვეა, ჯერ კიდევ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ჰყავს და არა დამტკიცებული პრეზიდენტი. 7 ნოემბრიდან მოყოლებული რამოდენიმე დღის განმავლობაში ხალხი გაურბოდა ლარს და დოლარზე მოთხოვნამ პანიკური ხასიათი შეიძინა. შეიძლება ითქვას, ხელისუფლებამ ხალხს “მწვანე პარასკევი” მოუწყო. ასეთი პანიკის ვითარებაში, როცა სიტუაცია პროგნოზირებადი არ არის, ყველა ცდილობს დოლარი არ გაყიდოს, იმპორტიორებმა კი ისიც არ იციან, რა დააფასონ დოლარში ნაყიდი საქონელი.

მოსალოდნელია თუ არა ფასების ზრდა? რა თქმა უნდა, მოსალოდნელია. აუცილებლად გაიზრდება ენერგომატარებლების ფასები. როდესაც ლარის კურსი მყარდებოდა, ამის გამო გაზის ან ელექტროენერგიის გარიფი არავის არ შეუმცირებია. დარწმუნებული ვარ, რომ ტარიფების გაზრდის იდეა კარგა ხანია მომწიფებულია და ამ გადაწყვეტილებას მიიღებენ. არგუმენტი აბსოლიტურად გამართლებული იქნება, რომ თუ ლარი

გაუფასურებადია დოლართან მიმართებაში, გაზს დოლარში ყიდულობენ და ამიტომ ლარში ტარიფი უნდა გაიზარდოს. ლოგიკა სწორია, მაგრამ ამ ლოგიკურ კონსტრუქციას აკლია პირველი ნაწილი, როცა დოლართან მიმართებაში ლარი მყარდებოდა და დოლარი უფასურდებოდა ლართან მიმართებაში, მაშინ ტარიფის შემცირება, რატომ არ მოხდა?

– რა ფაქტორებმა გამოიწვიეს ლარის კურსის ვარდნა, რა მოხდა რეალურად 7 ნოემბერს, რასაც თქვენ „მწვანე პარასკევი“ უწოდეთ?

– საბანკო სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ქვეყანაში დოლარის შემოდინების რამდენიმე სერიოზული წყარო არსებობდა. ძირითადი იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საზღვარგარეთიდან ჩვენი თანამემამულების მიერ ფულადი გზავნილები საქართველოში მცხოვრები ნათესავებისადმი. მე ბევრჯერ მისაუბრია, რომ ამ დროს საქართველოს ეკონომიკა “პოლანდიური დაავადებით” იყო დაავადებული. რა არჩევანი ჰქონდა ეროვნულ ბანკს? საბირჟო ვაჭრობაში რომ არ ჩარეულიყო, მოხდებოდა ლარის ნახტომისებური გამყარება, რაც ჩვენი ეკონომიკისთვის კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა.

რადგან ლარის გამყარება გარდაუგალი გახლდათ, ეროვნული ბანკი წავიდა ეროვნული ვალუტის მცოცავ რეჟიმში გამყარების პოლიტიკაზე, იგი ყიდულობდა შემოსულ დოლარებს ზრდიდა რეზერვებს და ყიდდა ლარს. მართალია, ეს პროცესი ინფლაციას უწყობდა ხელს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ინფლაცია ნაკლები ბოროტება იყო, ვიდრე ეროვნული ბანკის ჩაურევლობა და ლარის ნახტომისებური მკვეთრი გამყარება.

რა ხდება დღეს? დღეს ლარის გაუფასურება გარდაუგალია. პირველ რიგში, ხაზი უნდა გაფუსვათ გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგებს. ამის გამო საქართველოში უცხოური ვალუტის შემოდინება შემცირდა. შემცირდა უცხოური ინვესტიციები და ჩვენი თანამოქალაქეების მიერ ფულადი გზავნილებიც. ამერიკაში, უკრაინაში, რუსეთსა და სხვა ევროპულ ქვეყნებში, სადაც ჩვენი მოქალაქეები ცხოვრობენ და საქმიანობენ ყველგან კრიზისული ვითარებაა. მათ წინა პერიოდთან შედარებით ნაკლები შემოსავლები აქვთ და შესაბამისად, საქართველოშიც ნაკლებ თანხებს რიცხავენ. ხოლო, თუ მცირდება უცხოური ვალუტის შემოდინება, ბუნებრივია ამ შემთხვევაში ლარის მიმართება დოლართან, დოლარის სასარგებლოდ იქნება. საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინება აგვისტოს მოვლენების შემდეგ კიდევ უფრო დამძიმდა. გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში, ინვესტორები,

რომლებსაც ჯერ კიდევ აქვთ საშუალება სადმე ფული ჩადონ, რატომ ჩადებენ საქართველოში, რომელიც რუსული ჩექმისგან დღესაც არ არის ბოლომდე გათავისუფლებული. ამას ემატება კატასტროფულად უარყოფითი საგარეო სავაჭრო ბალანსი, როცა იმპორტი ექსპორტს ოთხჯერ ადემატება.

ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, დოლარი გაედინება. მაშასადამე, ქვეყანაში დოლარის შემოდინების შემცირების შემდეგ ლარის გაუფასურება გარდაუვალი გახდა. ეროვნული ბანკის წინაშე დადგა საკითხი, მოხდეს ლარის ნახტომისებური ვარდნა თუ თანდათანობით, ანუ მცოცავი რეჟიმით გაუფასურება. პირველ შემთხვევაში ეროვნულმა ბანკმა აბსოლუტურად სწორედ იმუშავა, როცა უზრუნველყო ლარის არა ნახტომისებური გამყარება, არამედ მცოცავი რევალვაცია, ეს იყო ობიექტური გარემოება და ბაზარზეც არანაირი პანიკა არ შექმნილა. სწორედ მაშინ დაგროვდა ეროვნული ბანკის რეზერვები, რომელიც ზუსტად ისეთი რთული ვითარებებისათვისაა განკუთვნილი, როგორიც ახლა შეიქმნა. პრაქტიკულად, სექტემბრის ბოლოდან მოყოლებული, მთელი ოქტომბრის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა ლარის კურსი დაიჭირა. ამ პერიოდში ეროვნული ვალუტა მხოლოდ 2,5 პროცენტით გაიაფდა, რაც არსებული რეზერვებიდან 300 მილიონი დოლარის დახარჯვით მოხერხდა. ასე მივედით 7 ნოემბრამდე. ამ დღეს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ბირჟაზე პრაქტიკულად ვაჭრობა შეწყვიტა. თუმცა ხსენებული 300 მილიონი დოლარით, ლარის კუსის სულ ცოტა 10 პროცენტიანი თანდათანობითი გაუფასურების უზრუნველყოფა თავისუფლად შეიძლებოდა. ამ შემთხვევაში კატასტროფული ნახტომი არ მოხდებოდა. ტერმინი კატასტროფული იმიტომ გახსენე, რომ ერთ დღეში 21 პროცენტიანი გაუფასურება მართლა ძალიან ბევრია.

ძალიან ცედი იყო ის, რომ „მწვანე პარასკევი“ მოხდა სწორედ პარასკევს. მოგეხსენებათ, შაბათ-კვირას საგალუტო ბირჟა არ მუშაობს, ამიტომ პარასკევს დაფიქსირებული ვარდნის შემდეგ, უქმე დღეებში, როცა სამომხმარებლო საქონლით ყველაზე აქტიური ვაჭრობა მიმდინარეობს, საზოგადოება გაურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდა, არავინ იცოდა რა მოხდებოდა ორშაბათს, ამიტომ შეიქმნა პანიკა. რაც კიდევ უფრო გააძლიერა იმან, რომ პარასკევს დაფიქსირებული ფაქტის შესახებ კომენტარი არავის გაუკეთებია. მაშინ ყველაფერი ტექნიკური მიზეზებით აიხსნა, თითქოს კომპიუტერულმა ქსელმა არ იმუშავა. ყველა მიხვდა ეს ნონსენსი იყო. ყველა ბანკომატებსა და ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს მიაწყდა და დოლარი

ბაზრიდან გაქრა. ამიტომ არის მთავარი, რომ 7 ნოემბერს ამ ავბედით „მწვანე პარასკევს“ ხელისუფლებიდან ვინმეს უნდა ეკადრა და ახსნა-განმარტება გაეკეთებინა, თუკი ლარის ნახტომისებური გაუფასურება მართლაც იყო დაგეგმილი. შაბათს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ქვეყანაში არაფერი განსაკუთრებული არ ხდებოდა და უბრალოდ, გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგებს ვხედავდით.

მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ზოგს შეიძლება ეს გაცნობიერებული ჰქონდა და იმიტომ გააკეთა, რომ ხელი მოეთბო, ხოლო ზოგს კი მხოლოდ სიბრიუგემ მიადებინა ასეთი გადაწყვეტილება. სწორედ სიბრიუგისა და ბოროტი ზრახვების კომბინაციაში იშვა „მწვანე პარასკევი“.

– თქვენ ისაუბრეთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის განწყობასა და ინფორმირებულობას, ვფიქრობ, ამ კუთხით საინტერესო იქნება თქვენი პროგნოზი ლარის კურსთან დაკავშირებით, სწორედ ხსენებული ფაქტორებიდან გამომდინარე, ველოდოთ თუ არა ეროვნული ვალუტის კურსის შემდგომ კორექტირებას?

– მე პროგნოზის გაპეტება მთავრობის მომავალ ქცევაზე ნამდვილად გამიჭირდება. უფრო მიადგილდება საუბარი იმაზე, თუ ობიექტურად რა რეალური საფრთხის წინაშე ვდგავართ. უპირველეს ყოვლისა, მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ ლარის დევალვაცია გარდაუვალია. ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ არ გაიზრდება საექსპერტო წარმოება და ექსპორტ-იმპორტის არსებული თანაფარდობა ექსპორტის სასარგებლოდ არ შეიცვლება, ან (და) უწყვეტი ინვესტიციების დიდი ოდენობით შემოდინება კვლავ არ აღდგება, ან (და) უცხოეთიდან ფულადი გზავნილები ადრინდელ მასშტაბებს არ მიაღწევს.

ამ სამი კოპმპონენტიდან ყველაზე რთული პირველი – საექსპორტო პოტენციალის ზრდაა.

უცხოური ინვესტიციების შემოსვლა გლობალური ფინანსური კრიზისის შეწყვეტაზე და საქართველოს ძველი იმიჯის დაბრუნებაზეა დამოკიდებული. უცხოეთიდან გზავნილების აღდგენა კი მხოლოდ და მხოლოდ გლობალურ ფინანსურ კრიზისის დასრულებაზეა დამოკიდებული.

ამ სამი გარემოების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს აქვს რესურსი, რომ ძალიან მოკლევადიან პერიოდში აკონტროლოს ლარის გაცვლითი კურსი. ეს არის დოლარში გამოხატული რეზერვი, რომელიც

მიღიარდ ას მიღიონს ადემატება. მაგრამ ამ რეზერვით მხოლოდ ლარის მცოცავი დევალვაციის უზრუნველყოფა შეიძლება და არა მოთოკვა.

გარდა ამისა, უნდა ვისაუბროთ 22 ოქტომბერს ბრიუსელში მიღებულ გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმადაც საქართველოში 4,5 მილიარდი დოლარის დახმარება შემოვა. აქედან 2 მილიარდი გრანტია, 2,5 მილიარდი კი კრედიტი. დოლარის ამ მასის შემოდინება საქართველოს ამოსუნთქვის საშუალება მისცემს. აქედან გამომდინარე, შემიძლია განვაცხადო, რომ ლარის ნახტომისებური ვარდნის გამოსარიცხად, საქართველოში რესურსი რეალურად არის და უახლოეს მომავალში კიდევ უფრო მეტი იქნება. თუმცა, კვლავ გავიმეორებ, რომ ამ ობიექტურ სიტუაციიდან რამდენად მოხდება გადახრა, ამის პროგნოზი არ შემიძლია. ხელისუფლება „მწვანე პარასკევს“ გაიმეორებს თუ არა, ამის თქმა შეუძლებელია. აქვე მინდა განვაცხადო, რომ თუ „მწვანე პარასკევის“ გამო არავინ დაისაჯა ან თუნდაც გარკვეული პირების მიმართ პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება, მე მექნება განცდა, რომ მსგავსი ქმედების გამეორების შესაძლებლობა სულაც არ არის გამორიცხული.

– ასეა თუ ისე ლარის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში არის 1 – 1,65-თან. თეორიულად ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება ხელს უწყობს ექსპორტს. დღევანდელ სიტუაციაში, რა პერსპექტივა აქვს ქართულ ეკონომიკას, შესაძლებელია თუ არა „მწვანე პარასკევის“ შემდეგ ადგილობრივი წარმოების გაძლიერებაზე ვისაუბროთ?

– ცნობილია, რომ როდესაც ადგილობრივი ვალუტა უფასურდება, ხელი ეწყობა ექსპორტს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ნახტომისებური გაუფასურების დროს. ექსპორტს ხელს უწყობს მცოცავი და პროგნოზირებადი გაუფასურება. ნახტომი და მისგან გამომდინარე შოკი არაფერს უწყობს ხელს. ბაზარი უნდა იყოს მშვიდი და პროგნოზირებადი. რა არის იმისთვის საჭირო, რომ ექსპორტი განვითარდეს? დევალვაცია ამის მხოლოდ ერთ-ერთი ინსტრუმენტია. მთავარია, ჩვენ გვქონდეს საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქცია, შესაბამისი ხარისხითა და ფასით. სანამ ასეთ პროდუქციას არ გაწარმოებთ, გამყარებასა და გაუფასურებას მნიშვნელობა არ ექნება.

ექსპორტის განვითარების თვალსაზრისით, აშშ-სთან და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თავისუფალი ვაჭრობა ნიშნავს, პრაქტიკულად, უტარიფო ვაჭრობას, ჩვენი

ეკონომიკური სივრცის ინტეგრაციას ამერიკისა და ევროკავშირის ეკონომიკურ სივრცესთან. ეს ნიშნავს, რომ თუ საქართველოში შემოვა უცხოელი ინვესტორი და აქ აწარმოებს პროდუქციას, ამ პროდუქციისთვის ამერიკისა და ევროპის ბაზარი დია იქნება. ამ შემთხვევაში, მცოცავი დევალვაცია ერთ-ერთი მასტიმულირებელი მექანიზმი მართლაც იქნება. რაც შეეხება თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე გადასვლას, აქ ორი განსხვავებული მდგომარეობაა. აშშ-სთან მხოლოდ მოლაპარაკების საწყის ეტაპზე ვართ, ხოლო ევროკავშირთან თავისუფალ ვაჭრობაზე საუბარი კარგა ხანია მიმდინარეობს, თუმცა საქართველოს მთავრობის მიზეზით რეალურად ჩიხშია შესული.

– ანალიტიკოსების ერთი ნაწილი საუბრობს იმაზე, რომ ლარის ასეთი ნახტომისებური ვარდნით ვიღაცევებმა საკმაოდ ბევრი ფული იშოვეს. ლარის კურსის გამყარება-გაუფასურებას ხშირად უკავშირებენ ხოლმე მონოპოლისტების ინტერესებს. თქვენი აზრით, რამდენად მონოპოლიზებულია დღეს ქართული ბაზარი და ვინ იშოვა ფული „მწვანე პარასკევით“?

– ვალუტის მყისიერი ცვლილებების დროს ფულის გაკეთება ყოველთვის შეიძლება. სხვა თემაა მონოპოლიები და მონოპოლიური ფასები. მონოპოლიზება ქართული ეკონომიკის სერიოზული სენია. პრაქტიკულად, არცერთი სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებაზე იზრუნებს არ არსებობს. ესევ დღევანდელი მთავრობის დამსახურებაა, რომელმაც რევოლუციის საბაბით ანტიმონოპოლიური რეგულირება გააუქმა. ეკონომიკა არის მონოპოლიზებული და მონოპოლისტებიც შეთანხმებულად ადგენენ ფასებს. თუმცა ფასების დინამიკი ჩვენ ერთი ფაქტორიც უნდა გავითვალისწინოთ. ჩვენი, განსაკუთრებით, მსხვილი კომპანიები ხელისუფლების მიერ სერიოზული ტერორის ქვეშ იმყოფებიან. მათ იძულებით აფინანსებინებენ გარკვეულ ღონისძიებებს, მაგალითად წინასაარჩევნო კამპანიებს. კომპანიების მიზნით კი ეს კომპანიები ამ დანაკარგებს ფასების გაზრდით აღწევენ. ეს დღეს ტაბუდადებული თემაა და ამაზე საუბრისაგან ბიზნესმენები შიშით თავს იკავებენ.

– იმ განცხადებაში, რომელზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, ბატონმა პენდუქიძემ ინფლაციაზე საუბრისას თქვა, რომ სამომხმარებლო ფასების რეგულირებისას გამოყენებული იქნება „თარგეთირების“ მეთოდი. რას ნიშნავს ეს ტერმინი და როგორ შეიძლება იმიშაოს ამ მეთოდმა?

– ეს არის ძალიან მარტივი რამ, როცა კანონში ჩაიდება ზღვრული ინფლაცია. კანონში უკვე არის ჩადებული, რომ ინფლაციის ზღვრული მაჩვენებელი 12 პროცენტია და თუ ამაზე მეტი ინფლაცია დაფიქსირდება, მაშინ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება. ამ მეთოდის მთავარი დატვირთვა ისაა, რომ ეროვნული ბანკის ფუნქციები ძალიან დავიწროვდა. იგი მხოლოდ ეროვნული ბანკის დასუსტებისა და მისი ინსტიტუციური გავლენის შემცირებისათვის ჩაიდო კანონში.

ინფლაცია არის მნიშვნელოვანი, მაგრამ ის ქვეყნის ეკონომიკის ერთადერთი პრობლემა არ გახლავთ, რაც ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმაც აჩვენა. დღეს მწვავედ დგას გაცვლითი კურსის საკითხი, მანამდე კიდევ უფრო მწვავედ იდგა საბანკო კრიზისის საფრთხე. ამ ყველაფერზე ზრუნვა საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქცია უნდა იყოს.

ამასთან ერთად, უნდა ითქვას, რომ ინფლაციის “თარგეთირება” ცოტა დიმილის მომგერელია. ვინ და როდის დაითვალა მართლაც რამდენია საქართველოში ინფლაცია? მთავრობის მიერ სტატისტიკის დეპარტამენტის დათრგუნვის პირობებში ინფლაციასთან ბრძოლის მეთოდებზე საუბარი უადგილოა. მას არავინ ითვლის და როცა არც კი ვიცით რამდენია ინფლაციის რეალური მაჩვენებელი, როგორ უნდა იბრძოლო მასთან, წარმოუდგენელია.

## ესაუბრა ზურაბ კუკულაძე